

542/2
1952/2

ლილა

აქედით, ტურთა მდინარე
იღვინე, ჭრთველი მდინარე,
და მერე, ჭრთველი მდინარე
სამსახლო გახარეთ!

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის



542/2

58



ნახატები გრ. ჩიარინაშვილისა

როლიონ ჟოკია

ს ა ნ ე რ გ ე შ ი

— ზურაბ, ჩქარა, შე კაცო! რას ავგინებ?!

— ზურაბ, ყველა წავიდა, ჩვენ დაერჩებით! — და ჭიშკარს ორი ბავშვი მოაღდა, გოგო და ბიჭი.

— მოვდივარ! — გაისმა პასუხად და აივინიდან ჩამოირბინა მოსწავლის ფორმაში კოხტად გამოწყობილმა ზურაბმა. ჭიშკართან რომ მიიბრინა, ამხანაგებს შეხედა და მოიბოღიშა: — დეღამ ახალი ხალათის შეკერვა ვერ მოასწრო და ცოტა შემადგვიანდა. სხეები სად არიან?

— სხეები? სხეები, რაკი დაგადგვიანდა, წავიდნენ, — უპასუხა გვიომ. — მე და დარიკომ კი დაგიცადეთ.

— იმათ თუ ჰგონიათ, რომ ჩვენზე აღრე მივლენ, ძლიერ შემცდარან, — თქვა ზურაბმა, — ჩვენ შუკაში შეფუხვევით და კოლექტივის სანერგით გადავპრიო გზას. გავასწრებთ კიდევ!

— ოპ, ეს კარგი იქნება, — გაეხარდა გვიის. — აბა, ვიჩქაროთ!

სამივე აჩქარებული ნაბიჯით გაუღდა გზას. დღეს მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ სკოლების სარაიონო ოლიმპიადაში. 12 საათზე ოლიმპიადის მონაწი-

ლენი სკოლაში უნდა შეკრებილიყვნენ. სკოლიდან მათ მანქანებით წაიყვანდნენ რაიონის ცენტრში. ბავშვებს ოლიმპიადაზე წასვლა უახარებლად და მანქანით გასვირნებაც. შუკის დასაწყისში სანერგის დარაჯი ძია გიგო შემოხვდათ.

— გამარჯობათ, არტისტებო! — მიესალმა მათ ძია გიგო, — ოლიმპიადაზე მიდიხართ? იჩქარეთ, იჩქარეთ! ჩემი დათო რა ხანია წავიდა. სანერგეს რომ ჩაუვლით, თითო კილტრი მოწყვეტეთ; შეგიძლიათ აღუბალიც მიირთვათ, ოღონდ არ დაგადგვიანდეთ. მე თვითონ მოგართმევდით, მაგრამ საქმეზე მივდივარ, გამომიძახეს. მშვიდობით, არტისტებო! აბა, თქვენ იცით, როგორ გვასახელებთ!

ძია გიგო თავის გზას გაუღდა, ბავშვები — თავისას. სანერგეს რომ მიუახლოვდნენ, წამით შეჩერდნენ. მზებზე მობრჭყვივალე ევკალიპტის ახლოს გამომწვევად ბზინავდა აღუბალი. ევკალიპტი იყო ვერცხლისტყვრი, აღუბალი — მუქი წიფელი.

— დავკრიფოთ? — შეყოყმანდა ზურაბი, სანერგისაკენ გაიხედა და გაშეშდა: სანერგეში საქონელი შესულიყო და ანა-

ნაგებდა მუხლამდე ამოსულ ევკალიპტებს.

— ხედავთ? — და ზურაბმა ხელი გაიშვირა საქონლისაკენ, — ღობე გაურღვევიათ!

ბავშვები შეწუხდნენ; ხარები, კამეჩები ხარბად და აჩქარებით თელავდნენ ევკალიპტებს. ერთი მოზვერი ციტრუსების კვლებზე დადიოდა, ნერგებს ყნოსავდა, თავს აკანტურებდა, რადგან საქმელად არ მოსწონდა და თელავდა. ზურაბმა წამით გადახედა ამხანაგებს. წარმოუდგა ხალხით გაქედილი დიდი დარბაზი, პალმებით მორთული სცენა: პიანინოს უკრავს დარიკო. ზურაბი და გივი მღერიან, ისე მღერიან, ისე მღერიან, რომ მთელი დარბაზი სმენდადა ქცეული; გრძნობს ზურაბი, რომ ამ დარბაზში ყველას გულის ძაფი მათთან არის ამ წუთს გადახლართული.

გათავდა სიმღერაც, ისეთმა ტაშმა იგრიალა, თითქოს ცამ ქუხილი დაიწყა...

— გაიმეორეთ! გაიმეორეთ! — ეუბნებდა მასწავლებელი.

— ზურა! მოზვერი სულ გააჩანაგებს სანერგეს, — წამოიძახა დარიკომ და ზურაბიც გამოერკვა ოცნებიდან.

— გამოერკეთ! — შესძახა ზურაბმა, სწრაფად გადაახტა თხრილს, ავიდა დამბაზე და ღობეს გადაეგოლა. გივიც მიჰყვა.

ბალახი დავარულია, ფეხსაცმელს გამოფუტებს, — გაუფლვა დარიკოს. გაიხადა ფეხსაცმელი, წამოაგო ღობის სარზე, გამოაძრო ღობეს წყნელი და გაეჭანა მოზვერისაკენ.

— არ გირჩინოს, მრჩოლავი მოზვერია! — მიაძახა ზურაბმა.

— იქით, იქით, შე სამგლე! — დაუტატანა დარიკომ მოზვერს და წინ გადაუღდა.

მოზვერი შედგა, კისერი დაძაბა, ფეხით მიწა მოთხარა, ლიმონის ნერგები ერთიმეორეზე მიაწვინა, სახარლად დაიბღავლა და გაეჭანა დარიკოსაკენ.

— დედა! — შეიკვლა დარიკომ გაიქცა. მოზვერი გამოეცადა.

ზურაბმა და გივიმ დარიკოს გასაქირი რომ დაინახეს, გვერდიდან ეცნენ მოზვერს და ჯოხები დაუშინეს. მოზვერი მობრუნდა და ახლა ზურაბისაკენ გაეჭანა. ზურაბმა მოისაზრა მოზვერი თავისაკენ გაეტყუებინა და ღობისაკენ გაიქცა. მოზვერი გამოუდგა. ზურაბი ახტა ღობეზე და თხრილში ჩავარდა. მოზვერმა გაანგრია ღობე, თხრილზე გადახტა და შედგა, თითქოს არაფერი იყო.

ზურაბი ამოცოცდა თხრილიდან. მძიმედ სუნთქავდა. გულს ბაგაბუფი გაჰქონდა. ხელის ზურგით მოიწმინდა სიმწრის ოფლი და მიიხედ-მოიხედა. დარიკო ღობეზე ასულიყო წითელ ხეაროქლასავით, გივი დამბაზე შემდგარიყო და ზურაბს აღტაცებით უყურებდა, ხოლო მოზვერი წყნარად იდგა და მუტელი საბერველივით ებერებოდა.

— დანარჩენებიც გამოერკეთ, — დინჯად თქვა ზურაბმა და ღობეს წყნელი გამოაძრო. ზურაბი მიდიოდა მტკიცე ნაბიჯით. ბავშვებს გული მოეცათ: ხედავდნენ, ზურაბი არ დაშავებულყო.

— ჰაა, მოო! ჰაა, მოო! ხი-მა-მოო! — გაისმა სანერგეში და ბავშვებმა პირუტყვი მალე გარეყეს სანერგეიდან.

— აბა, წავიდეთ ჩქარა! — თქვა დარიკომ და ღობის სარიდან თავისი ფეხსაცმელები ჩამოხსნა.

— ჯერ ვერ წავალთ, — დანანებით თქვა ზურაბმა. — ღობე ორგან არის გარღვეული. — რომ წავიდეთ, საქონელი ისევ შემოვა, უნდა ვუღარაჯეთ.

— ხომ დავაგვიანებთ სკოლაში? — დაფიქრდა დარიკო. — ოლიმპიდაზეც...

— ზურაბ, როგორ შეიძლება ოლიმპიდას დაეკლდე? — ხმა აუკანკალდა გივის. — მეოთხე კლასიდან მარტო ჩვენა ვართ.

— შეიძლება სანერგე გავაფუტებინოთ პირუტყვს? — ჰკითხა ზურაბმა მხანაგს. განა არ იცი, რომ ეს სახალხო ქონებაა?

5413





სკოლაში რა გვითხრეს, დაგავიწყდა?.. ეს ნერგები რუსეთში იგზავნება, რომ იქაც გაიხარონ ციტრუსებმა. თუ ჩვენ გვინდა ლიმონ-მანდარინები, იქაურ ბავშვებს არ უნდათ?

— ეს მართალია! — ამოიოხრა გვიმ. — მაინც სად წავიდა ამდენ ხანს ძია გიგო? რომ ვიციოდე სადაა, მოვძებნიდი.

რამდენიმე წამმა სიჩუმეში გაიარა, სანერგიდან გამორეკილი პირუტყვი თბრილის პირას ძოვდა. მოზვერი ისევ ისე იღვა ერთ ადგილას და გარღვეული ღობისაკენ იყურებოდა, თითქოს ბავშვების წასვლას უცდიდა.

— ავაყუნოთ ღობე, შევეუდგათ სარები; დაინახავენ, რომ ღობე აღდგენილია და წავლენ, — მოისახრა გვიმ.

მისცვივდნენ ღობეს, ააყუნეს. მაგრამ ღობე ისევ გადმოწვა. დაღეწილი იყო და ვერ ჩერდებოდა.

— უნდა დავრჩეთ, მეტი გზა არ არის, — დარაჯს დაველოდოთ! — დასკვნა ზურამმა და წაქცეული ღობეზე ჩამოჯდა. გივი გაშეშებული იღვა. დარიკოს ცრემლები ჩამოუგორდა. მზე მალლა-მალლა ადიოდა, ალუბლისა და ვეკალიბტების

ჩრდილი სულ უფრო და უფრო მოკრძალებოდა. მოზვერი დაწოლილი იყო და დაინებით იცქირებოდა სანერგისაკენ.

— მშვიდებით, ჩვენს სიმღერავ! — ამოიოხრა გვიმ. — ოჰ, როგორ ვიმღერებდი!

— მე როგორ დავუკრავდი! — ოცნებით წამოიძახა დარიკომ და ნამტირალევი თვალები აუციმციმდა. მივიდა ღობესთან, თითები წყნელზე გადაუსვა, თითქოს კლავიშებიო და ტუჩები ააცმაცუნა:

— ტა... ტა... ტა... ტა. ა.. ა... ა!
ზურაბი ადგა, წარმოიდგინა დარბაზი, თითქოს ეს სანერგე ის დარბაზი იყო, ეს ვეკალიბტები და ციტრუსები — მაყურებლები; ახალი ხალათი დაიქიმა, მარცხენა ხელი ქამრის ბალთაზე დაიღო და ტკბილად დაიწყო სიმღერა.

გივი გვერდით ამოუდგა, ჩაახველა, საყვლო ვაისწორა და აპყვა.

მზე უხვად დანათოდა მწვანე სანერგეს, ბრჭყვიალა ვეკალიბტებს და ბატარა არტისტებს.





თამარ ჩხიძე

ნახატები რ. ცუცქერიძის

გემი „პიონერი“

დედამ პატარა შოთა საბავშვო ბაღს საზღვხულოდ შორს გააყოლა. მერე რა, განა შოთა პატარაა? შარშან ოთხი წელი შეუსრულდა. უკვე ბევრი რამ იცის: ძერწვა, ცეკვა, სიმღერა და ხატვა.

პატარა ბიჭია შოთა, მაგრამ ძლიერ ყოჩაღია; იმ დღეს ბათუმში რომ იყვნენ, სრულდებით არ დაღლილა. დიდი ბაღი ცისფერ ტბამდე სულ ასკინკილით გაიარა.

მიხტოდა და აღმზრდელის მიერ ნათქვამს გზადაგზა მიიმღეროდა:

— ბათუმში დიდი ბაღია, იმ ბაღში ტბა არის; ტბაზე დიდი გემია, გემს „პიონერი“ ჰქვია, იმ გემით პიონერ-მებრძოლებს ტბაზე ბავშვები დაჰყავთ, თქვენც გასეირნებენ, აი, სულ მალე ნახათ!

და ბავშვებმა ის ტბა ნახეს.

— რა ლამაზია, რა დიდი! — შესძახეს ბავშვებმა.

— ეგ რა არის, მამაჩემმა ზღვა დაგუ-

ბა სამგორში, დიდი, დიდი! — თქვა ამაყად შოთამ.

ვითომ მხოლოდ მამაშენი მუშაობდა სამგორში? მამაჩემიც, ბიძაჩემიც იქ იყო, — უბასუხეს შოთას თინიკომ, თამრიკომ, ბიჭიკომ, ილიკომ და სხვა ბავშვებმა. კიდევ უნდოდათ რაღაცა ეთქვათ, მაგრამ ამ დროს გემი დაინახეს:

— ვაშა, ვაშა! — შესძახეს ბავშვებმა და ნავსადგურისაკენ გაიქცნენ. ცეროდენა შოთაც იმათ გაჰყვა:

— გემი, გემი „პიონერი“! — გაიძახდნენ ბავშვები და წყნარად მომავალ გემს ხელს უქნევდნენ.

— დუუუ, დუუუ, — მიესალმა გემი ნაპირზე მყოფ ბავშვებს და ჯაჭვის რახრახით მძიმე ლუზა ტბაში ჩაუშვა.

— დაუშვით ხიდი! — გაისმა გემზე კაპიტანის ბრძანება.

— არის, დაუშვით ხიდი! — გაიმორეს პიონერ-მებრძოლებმა და ხიდი ნაპირს შეუერთდა.



პატარა მგზავრები მზიარული ქრიამუ-
ლით გადმოდიოდნენ ხმელეთზე.

— ჩქარა ავიდეთ, ჩვენც ავიდეთ! —
აჩქარებდნენ აღმზრდელებს ბავშვები,
როცა გემი დაიცალა.

— რიგრიგობით, რიგრიგობით! —
აფრთხილებდა ახალ მგზავრებს გემის
ბაქანზე მდგომი ქერა მეზღვაური და
აღმზრდელებს რიგრიგობით აჰყავდათ:
თინიკო, თამრიკო, ბიქიკო, ილიკო და
შოთა.

— შენ რა გქვია, ცეროდენავ? —
შეეკითხა ქერა მეზღვაური შოთას და
სმენად გადაიქცა, მაგრამ შოთას ენა და-
ება, ისე მოეწონა მეზღვაურის მორთუ-
ლობა.

უჰ, რა ლამაზი ტანსაცმელი ეცვა იმ
მეზღვაურ ბიჭს, რა პრიალა ბალითა-
ნი ქამარი ერტყა, რა კოხტა მრგვალი
ქული ეხურა; როგორ შეენოდა მის მორ-
თულობას აღისფერი ყელსახვევი!

— მე ვანია უკრაინელს მეძახიან, ჩემს მეგობარ ბოცმანს—რეზოს. შენ რაღა გქვია?—ხელომეორედ შეეკითხა ვანია შოთას, მაგრამ შოთა ისევ ჩუმად იდგა.

— უსახელო ყოფილა!—გასძახა ვანიამ კობხვად ჩაცმულ ნორჩ მებზღვაურს და გაიცინა.

— შოთა, შოთა ჰქვია!—უპასუხეს შოთას ნაცულად: თინიკომ, თამრიკომ, ბიჭიკომ, ილიკომ და სხვა ბავშვებმა.

შოთას კი შერცხვა, რომ პასუხი დროზე ვერ გასცა მებზღვაურს და ხმაძაღლა შესძახა:—შოთა მქვია!

ამასობაში აღმზრდელებმა ყველა ბავშვი გემზე აიყვანეს და პირველი სართულის დარბაზში რბილ საფარძლებზე დასხეს.

კვლავ ახრიალდა ჯაჭვი,—ლუხა და ხიდი ზევით ასწია. მესაქემ სკებს ხელი შეეფელა და გემი „პიონერი“ ნაპირს მოსწყდა.

რაც უფრო უმატებდა გემი სისწრაფეს, მით უფრო უხაროდათ ბავშვებს.

— ნაგები, ნაგები!

— აგერ შუქურა!

— თოლიები, უჰ, რამდენი თოლიები!—გაიძახოდნენ ისინი და ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდნენ.

ბავშვებს მოეწონათ გემი „პიონერი“, შოთასაც ძლიერ მოეწონა და უცებ ტირილი მორთო: გემი მინდა, ასეთი გემიო!

— აჰ, აჰ, ძმობილო, ვაჟაკს ცრემლები როდი შეშვენის!—შესძახა შოთას ვანია უკრაინელმა, მეორე სართულზე ჩაირბინა, პაწია გემი ამოუტანა, გაუწოდა და უთხრა:

— აჰა, შენი იყოს, ეს გემი მე თვითონ გავაკეთე, ამასაც „პიონერი“ ჰქვია!

შოთამ ვანიას გემი გამოართვა და ისევ მოიწყინა:

— ახლა რაღა გინდა?—ჰკითხა აღმზრდელმა შოთას.

— სამგორში მინდა წასვლა, ეს გემი ახალ ზღვაში უნდა ჩაუშვა, მაშამ მითხრა: გემის გარდა არაფერი აკლიაო!—თქვა შოთამ და ყველას გაეცინა.

უახანან გორაკუნალი

რა ეგონა ქურდბაცაცას

ჩხაკ-ჩხუკი, ჩხაკ-ჩხუკი...

ეს რა ხმაა,

რა ხმაურობს, ნეტავ, დაბლა?

ჩვენი კატა, ბანჯაკელიანი,

ჩაცუცქა და ვაინაბა.

არ ინძრევა, მაგრამ თვალდი

რა ცუცხლს აფრქვევს ელვის მსგავსად!

ფრთხილად, ნოდარ! ფრთხილად თემურ!

ჩაუსაფრდა კატა თავსა.

ჩხაკ-ჩხუკი, ჩხაკ-ჩხუკი...

ვსედავ ტანტთან

უცებ თხილი კაიფანტა.

ისკუბა და გამალებით

თავს დახტა ჩვენი კატა.

თხილით სხვსე ჩემს კაღბთან

ფარულად რომ შესწყოდა,

რა ეგონა ქურდბაცაცას,

ეს წუწკობა შერჩებოდა!



ნორა ბურაძე

სალამი, ბანაკო!

მოვიდა ზაფხულის დღეები,
სიმღერით შთა და ბარს ვეველებით!
შემოგვხვდნენ შრილა ტყეები,
შემოგვხვდნენ ზურმუხტის ველები.

შუქის და იმედის მთოველი
ფრიადებს წითელი აღამი,
მოვედით ბანაკო, მოვედით,
სალამი, მზურვადე საღამი!

შიში და დაბნევა არ ვიცით,
დაუპყრობ მწვერვადებს გადავადო;
ჩვენ ღენინ-სტაინის საქმისთვის
მზადა ვართ მარადგამს, მზადა ვართ!

გვამხნეებს მამის და ბელადის
აღრისი, ზრუნვა და სარდლობა;
ბედნიერ ბავშვობის შექმნისთვის
მადლობა, ბელადო, მადლობა!

ნახატი ალ. ვეფხვაძისა





ბიორჩი მამაკარავილი

ნახატები ვლ. ტორტაძისა

პურის ვარსკვლავი

მკა დაიწყო.

ორი კომბაინი გუგუნით მკიდა და ლეწავდა დაპურებულ ყანას. კოლმეურნეები მოსავლის აღებას ეშურებოდნენ, ერთმანეთს ეჯობებოდნენ. სარწყავი არხის გამოღმა ბრიგადიდან კომბაინის დასახმარებლად გამოყოფილ ჯგუფს დათიას მამა ხელმძღვანელობდა, არხის გაღმა კი—ვახტანგისა.

არც დათია და ვახტანგი ჩამორჩებოდნენ ერთმანეთს, იმათაც შეედგინათ ტოლი ბიჭების ჯგუფი, კომბაინის უკან მისდევდნენ, თავთავებს აგროვებდნენ და პატროა კონებად ჰქოვავდნენ.

— აბა, ბიჭებო, ერთი თავთავიც არ დაფუტოვოთ თავგებს, არ შეგვარცხვინოთ, გაღმელმა ბიჭებმა არ გაჯობონ! — ამხნევებდა დათიას მამა ბავშვებს; თან კომბაინს ცვალში მისდევდა, გულისყურით ათვალღიერებდა, როგორ მკიდა მანქანა ყანას, მარცვალხი ხომ არ იბნეოდა ნაწვერალში...

სამხრობისას, როცა კომბაინერი მიხზა მანქანას გააჩერებდა, ბიჭები არხისაკენ გაიქცეოდნენ, არხის პირას შედგებოდნენ, ხელს მოიჩრდილებდნენ და გასძახებდნენ: — ჰეი, ჰეი, გაღმელებო, როგორ მიღის თქვენი საქმე?.. არხის იქითა ნაპირს ვახტანგის ჯგუფი მოადგებოდა; ყველაზე წინ ყანასავით გრძელფეხა, აყლაყულა ვახტანგი დადგებოდა და დაკინვით გაღმობხედავდა გათვლიანებულ, ბურთივით მრგვალ დათიას.

— ქიანქველებო, თქვენი საქმე როგორლა? შინ გაპარვას უჩვენოდ ხომ არ აპირებთ?

— სანამ თქვენ არ გაჯობებთ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით! — ჯიუტად გაიძახოდა დათია.

— რა გიწავთ, შეილოსა, თავთავის ასაკრეფად დაკუზვაც კი არ დაგპირდებათ, თხუნელებივით დაძვრებით ნაწვერალში. მე კი... უი, დედა, დედა, როგორა მტეხავს წელი!

ბიჭები ხარხარს ატეხდნენ. გულს რომ იჯერებდნენ, არხის საგურბისაკენ საბანოდ გაიქცეოდნენ და ვიღრე კომბაინის საყვირის ხმას არ გაიგონებდნენ, სიამოვნებით ჰყუპმალაობდნენ წყალში.

— ჩაგიწყდეს ხმა! — ბრაზით წამოიძახებდა ვახტანგი საყვირის ხმაზე და წელათრეული გაუძღვებოდა თავის ტოლებს. დათია კი, გაგრილებული და გამხნევებული, შურდულივით მიქროდა მინდვისისაკენ და ტოლებსაც გაიყოლებდა.

პირველ ხანებში გაღმელების ჯგუფი გამოღმელებს წინ უსწრებდა. დათიას გული სწყნებოდა, ამხანაგებს ამხნევებდა, არხის სათავეზე საბანოდ აღარ უშვებდა, იქვე, არხზე აგროვებინებდა ხელპირს, დროს ტყუილად ნუ ვკარგავთო. მამა გულს უკეთებდა დათიას: ნუ გეშინია, უს გაიკინებს, ვინც ბოლოს გაიკინებსო!..



დათიამ არ იცოდა, ოსი იმედი ჰქონდა მამამისს, მეგრამ გრძნობდა, რომ გაიმარჯვებდნენ. კომბაინერიც იმედს იძლეოდა და კარგი მეშაობისათვის ბავშვებს ჯილდოს ჰპირდებოდა.

მართლაც, გამოღმელების მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ვაღმელებიც და გამოღმელებიც თითქმის ერთნაირი ნაბიჯით მიდიოდნენ წინ.

* * *

ჩამოცხა, ძლიერ ჩამოცხა. სიცხის ბული ტრიალებდა ირგვლივ. ოფლის ხეივანი გადასდიოდა ყველას სახეზე. კომბაინები კი მაინც გუგუნებდნენ, მკილნენ და ლეწავდნენ ყანას. ხორბლით დატვირთული მანქანები სოფლისაკენ მიქროდნენ და მტვრის კორიანტელს აყენებდნენ გზაზე.

დათიამ შენიშნა, რომ ვაღმელების ჯგუფს ერთი ორი ბიჭი მოაკლდა; მალე



ვახტანგაც ვაჭრა მინდვრიდან და თან დანარჩენი ბიჭებიც გაიყოლია. არხის გადაღმა მხოლოდ უფროსები და მუშაობდნენ.

ერთხელ, სამხრობისას, დათია და მამამისი არხისწყალოზე ხელ-პირს ივრილებდნენ. არხს მეორე მხრიდან ვახტანგის მამა მოადგა და მეზობელს გადმოსძაბა: — თედო, შენმა ბიჭმა აჯობა ჩემსას; კარგი ბიჭი გყოლია, ტოლები მაგრად დაიჭირა ხელში!

დათიას ესიამოვნა, თავი ჩაღუნა.

— მილალატა იმ ცულლუტმა, გამე-ქცა... ვაუკაცებს თავთავების კრფაზე ვაცდენ! — დაუმატა ვახტანგის მამამ.

— ჩემი ბიჭი საქმეს არ ულაღატებს! — გაიღიმა დათიას მამამ და შვილს ქვეშქვეშ გახედა.

დათია თავჩაღუნული, გაჩუმებული უსმენდა უფროსების საუბარს და გულში ფიქრობდა:

„მართალია, ძალიან დავიქანცე, მაგრამ საქმეს არ გავეჭევი“...

გამოღმელებმა მკა ერთი კვირით * * * დაამთავრეს.
დათიას მამას წითელი ღროშა გადასცეს და წარმატება მიულოცეს.
დათიაც ესწრებოდა კრებას. იგი თავის ტოლებთან ერთად განარებული
გამოვარდა კოლმეურნეობის კანტორიდან და იქვე შეგროვილ გოგო-ბიჭებს
გადასძახა:

— გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ, ღროშა ჩვენია!

უცებ ხმა ჩაუწყდა დათიას. თავზე ყანასავით აწოწილი ვახტანგი წამოაღდა,
პირზე ხელი მიათარა და შიგ ყურში დაცინვით ჩასძახა:

— ვინ გავიმარჯვა, ვინ?..

— ეინა და გამოღმელებმა!

— შერე შენ რა?

— როგორ თუ რა, მეც ამ ჯგუფში არ ვმუშაობდი?!

ვახტანგმა გადაიხარხარა და სიცილით გული კარგად რომ იჯერა, ისევ
დათიას მიუბრუნდა:

— შენა, ბიჭო, იმ ერთი ბუზივით მოგდის, ხენის ღროს ხარის რქაზე რომ
იჯდა და შეგდღე ქვეყანას ტრაბახით იკლებდა: მეცა ვნნავდიო!

ამ სიტყვებზე ვახტანგის ამხანაგები ისევ ახარხარ-
დნენ. დათიამ წასვლა დააპირა. ამ ღროს მათთან
კომბანიერი მიხა მივიდა და ვახტანგს დაუტია:

— ბუზივით შენ თვითონ იკბინები, ზარმაცო,
ამ ზაფხულს დათიას ჯგუფი რომ არ მოგვშე-
ლებოდა, ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით!

— განა? — უნებურად წამოსცდა დათიას.

— ნამდვილად ასეა. აბა, ყური დამიგდეთ: ამ
ზარმაცებმა სამუშაოს თავი რომ დაანებეს, მათი
ჯგუფის კოლმეურნეებს ყოველდღე ერთი-ორი
საათი მაინც ეკარგებოდათ თავთავის შეგროვე-
ბასა, მოფოცხვასა და აბულულებში. აბა, იანგა-
რიშე!

დათია დაფიქრდა. გუნებაში ანგარიშობდა. ხან-
დახან თითებსაც იშველიებდა, ყველა მას შეს-
ცქეროდა და ილიმებოდა, ბოლოს დათიამაც გაი-
ლიმა.

— ბიჭოს! დღეში ერთი-ორი დაკარგული
საათიდან მკის განმავლობაში ერთი კვირა გამო-
დის!

— ჰოდა, სწორედ ამ ერთი კვირით ჩამორჩა
მაცათი ჯგუფი ჩვენსას... ამიტომ, ჩემო კარგო
ბიჭებო, მიიღეთ ჩემგან ეს ჯილდო! — უთხრა კომ-
ბანიერმა და თავისი ღონიერი მარჯვენა ყველას
დასანახად მადლა ასწია.

— ვარსკვლავი! — წამოიძახა დათიამ და თვა-
ლები გაუბრწყინდა.

მართლაც, ძია მიხას მზეზე გარუჯულ ხელში
ოქროსფერი თავთავებისაგან ლამაზად დაწნული
ვარსკვლავი ეჭირა.





ილია სინაგულიძე

ზ ღ ვ ა ზ ე

წელს დედამე და თინა
 ზღვაზე წაგვიყვანა;
 როგორ მიყვარს, რომ იცოდეთ,
 ზღვაში ტანის ბანა.
 თინა თუმცა უფროსია,
 მაგრამ ზღვას რომ ხედავს,
 ეძინია და შიგ ჩასვლას
 რა ქნას, ვერა ბედავს.
 ზღვა ნაპირთან დაბალია,
 მკერდამდეც ვერ გუწოდებ;
 მე და დედა ვბანაობთ და
 თინას გული სწუდება.
 ორჯერ-სამჯერ შემოგვსება,
 ბოლოს კათამამდა;
 და თინაცომ, შიშით წულში
 ფეხს რომ ვერა დგამდა,
 გადახედა ერთი ზღვას და
 მასზე მცურავ ნავეს,
 კვითხრა: „ახლა თქვენ ამოდით,
 და მე ვიბანავებს!“
 გაგვეცინა და ვუთხარით:
 „თინა, რატომ დედავ?
 მოდი, ერთად ვიბანაოთ,
 ზღვა გვეყოფს ვეკლას!“

ნახატი ი. ხუბიშვილისა





რადიომიმღებთან

კობხად ჩაცმული თეთრბანტიანი პატარა გოგონა და მისი აღმზრდელ-მასწავლებელი ჩქარი ნაბიჯით გავიდნენ საბავშვო სახლის ეზოდან. ისინი რადიო-კომიტეტში მიდიოდნენ. ერთი საათის შემდეგ პატარა ნინოს მიკროფონთან სიტყვა უნდა წარმოეთქვა. ვახარებული მიცუნტულვებდა ნინიკო; ხუმრობა ხომ არ იყო, მის სიტყვას მთელი ქვეყანა მოისმენდა.

მალე გავიდა ერთი საათიც. საბავშვო სახლის ოთახიდან აღმზრდელ-მასწავლებელი ნუცა გამოვიდა და დღერუანში შეკრებილ ბავშვებს მიმართა:

— ბავშვებო, წავიდეთ დარბაზში, უკვე დროა, სადაცაა რადიოგადაცემა დაიწყება. მოვუსმინოთ ჩვენს ნინიკოს.

— წავიდეთ, წავიდეთ! — მხარულად შესძახებ ბავშვებმა და დარბაზისაკენ გაეშურნენ. დიდ დარბაზში რომ შევიდნენ, აღმზრდელმა ანიშნა დამსმდარიყვნენ. ბავშვები საჩქაროდ დასხდნენ. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, აღმზრდელმა ერთ-ერთ მოზრდილ ბავშვს უთხრა:

— თამაზ, ჩართე რადიომიმღები.

თამაზი მაგიდაზე მდგარ რადიომიმღებთან მივიდა და ჩართო, მაგრამ ნათურები არ აინთო. ბავშვები სულგანაბულები შესტკეროდნენ მიმღებს. მიმღები კი დუმდა. გაოცებული აღმზრდელი წამო-დგა, მიმღებთან მივიდა. გამორთო, ისევ ჩართო, შეაბრუნა, შიგ ჩახედა, კარგა ხანს ათვალევინა, მერე წელში გასწორდა და მკაცრად თქვა:

— გაგიფუჭებიათ!

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა აღმზრდელს მისჩერებოდა; აღმზრდელი კი საითაოდ ათვალევინებდა ბავშვებს, უნდოდა მათ თვალვებში ამოეკითხა, ვინ იყო დამნაშავე. კარგა ხანს გასტანა ასე. ბოლოს თამაზმა ვერ მოითმინა, ზეზე წამოიჭრა და ხმამაღლა მიმართა ბავშვებს:

— რადიომიმღებს რომ ბავშვი დაზიანებს, მას რა სასჯელი ეკუთვნის? ახლავე მოვძებნოთ იგი.

— მოვძებნოთ და სასტიკად დაესაჯოთ! — დაუმატა შოთაძე.

— ნინოს ჰგონია, რომ მოვუსმენთ, — ნაღვლიანად თქვა ცისანამ.

— მერე, რა კარგი კონცერტია ამ საღამოს, — ჩვენი შეკვეთით უნდა გადმოსცენ!

— კონცერტა კონცერტია და მიმღები რომ აღარ გვექნება? — წუხდნენ ბავშვები.

— გააკეთებენ! — დინჯად თქვა ნიკომ.

— გააკეთებას ფული და შრომა არ უნდა? — მიუგო ნიკოს თამაზმა და მერე დაუმატა:

— იქნებ მოვახერხოთ რამე? ეგებ შევაკეთოთ როგორმე... რამდენი წუთი უკლია, დეიდა ნუცა, გადმოცემის დაწყებას? — შეეკითხა იგი აღმზრდელს.

— ათი წუთი! — ჩაილაპარაკა აღმზრდელმა და ზეზე მდგომ ბავშვებს ანიშნა დამსმდარიყვნენ. მერე პატარა წერილი დაწერა, თამაზს მისცა და უთხრა:

— გადაირბინე სკოლაში, ეს წერილი დირექტორს მიეცი, რადიომიმღებს გვათხოვენ და ჩქარა მოიტანე!

თამაზი გაიქცა, აღმზრდელმა ბავშვები კიდევ შეათვალევინა და უთხრა: — რომ გკითხოვნ, თქვენი რადიომიმღები სადღა არისო, — რა ვუპასუხოთ?

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა უხერხულობას გრძნობდა. განსაკუთრებით კი პატარა სანდროს შეუწყითლდა ლოყები. იგი თვალს ვერ უსწორებდა აღმზრდელს. ბოლოს აღმზრდელმა მშვიდლათ თქვა.

— მე უკვე ვიცი, ვინც დააშავა, ბავშვებო!

— მე... მე არ გამიფუჭებია, დეიდა

ნუცა, არ გავიფუტებია, არა!—ატირდა პატარა სანდრო.

— თუ არ გავიფუტებია, რატომ სტირონი?

— ცხადია, მაგან გააფუტა.

— იმიტომაც ტირის; — ახმარუნდენ ბავშვები.

აღმზრდელმა სანდრო მოიხმო. პატარა ბიჭუნა მივიდა და კედელთან გაჩერდა თავჩაქინდრული. ხელები ისევ თვალებზე ჰქონდა მიფარებული.

ამ დროს გახარებულმა თამაზმა შემოირბინა დარბაზში. სკოლის რადიომიმღები მაგიდაზე დადგა და მაშინვე ჩართო. წამოშლილი ბავშვები ისევ დასდნენ. მხოლოდ მიმღების ნელი ხმაური არღვევდა სიჩუმეს. მალე ნინოს წკრიალა ხმაც გაისმა. ბავშვები ალტაცებით უსმენდნენ მას. ნინო ყვებოდა თავის თავგადასავალს: თუ როგორ იზრდება საბავშვო სახლში, როგორ ზრუნავენ მასზე აღმზრდელ-მასწავლებლები. მერე ილაპარაკა, როგორ ვახდა ხუთოსანი მოსწავლე; დაასახელა თავისი წარჩინებული ამხანაგები, მათ შორის სანდროც. სანდრო უფრო მეტად შეწუხდა და, კედელს აეკრა. ამხანაგების აღცხვენოდა, ნანობდა თავის უხეირო მოქმედებას.

როცა ნინოც სიტყვა დაამთავრა,

ერთ-ერთი აღსაზრდელი შეხტა, ტაშქორისა და შემოაპკრა და წამოიძახა:

— გვასახელა ნინოც, გვასახელა!

ბავშვები ახლა კონცერტს უსმენდნენ, როდესაც კონცერტი დამთავრდა, აღმზრდელმა სანდროს მხარზე ხელი დაადო, წინ წამოიყვანა და ბავშვებს მიმართა:— ბავშვებო, სანდროს თქვენთან სათქმელი აქვს:

— ამ დღით შემოვედი დარბაზში, — დაიწყო სანდრომ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — ჯერ რადიომიმღების ჩასართავი ვატრიალე აქეთ-იქით. მერე უკანასაფარი მოეხადე, მიხედნა მენახა, შიგ რა იყო; მიმღების ფერადი მავთული ძალიან მომეწონა, ამოვკერი და ჩემი გატყეხილი ბზრიალა შევეკარი იმ მავთულით, — მან ჯიბიდან ბზრიალა ამოიღო, ბავშვებს დაანახა და ისევ განაგრძო, — არ მეგონა, თუ გაფუტდებოდა მიმღები. ორი მავთული იყო ერთად და მე მხოლოდ ერთი ამოვკერი.

— ვაპატიოთ, ვაპატიოთ!

— მერევეჯერ აღარ ჩაიდენს, მასწავლებელი! — სთხოვდნენ ბავშვები დეიდას.

სანდრო კი თავჩაღუნული იდგა, რადიომიმღებს დარცხვენით გაჭყურებდა და იქიდან თითქოს კვლავ ესმოდა ნინოს ხმა, — თავის კარგ ამხანაგებთან ერთად სანდროც რომ დაასახელა.





3. მსკვპპ

ნახატი რ. ხტურუახი

გულკეთილი დიასახლისი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა. მას ჰყავდა მამალი. წამოდგებოდა აღრიანად მამალი და დაიძახებდა:

— ყუილიყო! დილა მშვიდობისა, ჩემო პატარა დიასახლისო!

მიიღებდა გოგონასთან, მისი ხელიდან აკენკავდა ნამცეცებს და გვერდზე მიუჯდებოდა. ბუმბული სხვადასხვაფრად უბზინავდა, თითქოს ვრბო პქონდა წასმული, ბიბილო მფეზე ოქროსფრად უბრწყინავდა. მშვენიერი მამლაყინწა იყო!

ერთხელ გოგონამ მეზობლის ქათამი დაინახა, მოეწონა და მეზობელს სთხოვა:

— შენ ქათამი მომეცი, მე ჩემს მამალს მოგცემ!

მამალმა ეს რომ გაიგონა, ბიბილო გვერდზე დახარა, თავი ჩაღუნა, მაგრამ რას იზამდა, როდესაც თვითონ დიასახლისმა გაიმეტა!

მეზობელი დასთანხმდა, — ქათამი მისცა და მამალი წაიყვანა.

დაიწყო გოგონამ ქათამთან მეგობრობა. დაბუა ქათამი იყო, ყოველდღე კვერცხსა დებდა.

— კა-კა-კა, ჩემო პატარა დიასახლისო! შეგვგროვს კვერცხები!

შეჰამდა გოგონა კვერცხს, ქათამს მუხლებზე დაისვამდა, ბუმბულზე უსვამდა, წყალს ასმევდა, ბურღულს სთავაზობდა.

ერთხელ მეზობელი მოვიდა სტუმრად და თან იხვი მოიყვანა.

გოგონას მოეწონა იხვი და სთხოვა მეზობელს:

— შენ შენი იხვი მომეცი, — მე ჩემს ქათამს მოგცემ!

ქათამმა ეს რომ გაიგონა, ფრთები დაუშვა, მოიწყინა, მაგრამ რას იზამდა, თვითონ დიასახლისი იმეტებდა.

დაიწყო გოგონამ იხვთან მეგობრობა. მდინარეში საბანაოდ ერთად დადიოდნენ. გოგონა გასკურავდა, იხვიც გვერდზე მიჰყვებოდა.

— ვახ - ვახ - ვახ, ჩემო დიასახლისო, შორს ნუ გასკურავ, მდინარე ღრმა!

გამოვიდოდა გოგონა ნაპირზე, — იხვიც გამოჰყვებოდა.

ერთხელ მოვიდა მეზობელი, საყელურით ლეკვი მოჰყავდა. გოგონამ რომ დაინახა, სთხოვა:

— ოჰ, რა მშვენიერი ლეკვია! მომეცი და შენი იხვი წაიყვანე!

იხვმა ეს რომ გაიგონა, ფრთები შეაფართხუნა, დაიყვირა, მაგრამ რას იზამდა. მეზობელმა ილღიაში ამოიჩარა და წაიყვანა.

გოგონამ ლეკვს ხელი გადაუსვა და უთხრა:

— მამალი მყავდა, — ქათამში გავცვალე, ქათამი იხვში გადავცვალე, ახლა კი იხვში ლეკვი გამოვართვი...

ეს რომ გაიგონა ლეკვმა, კული აბზიკა, სკამის ქვეშ შეძვრა, შუალამისას კი თათით გააღო კარი და გაქცა.

არ მინდა ისეთი დიასახლისი, მეგობრობას რომ არ აფასებს...

გოგონას გაეღვიძა — ყველა გაქცეოდა, დარჩა მარტოღმარტო.

თარგმანი ელ. გოგოლაშვილისა



მეც მინდა მუშაობა!

პატარა ნიას მკერდზე მიეკრა თავისი თმაგაჩეჩილი თოჯინა და ოთახიდან ოთახში დადიოდა.

ჯერ მამასთან შევიდა.

— მამიკო, დახედე ჩემს თოჯინას, კატამ ყური მოაგლიჯა; შენ ხომ ექიმი ხარ, მოარჩინე!

მამა გართული იყო წიგნის კითხვით და ბავშვს არ შეხედა.

ნია მიუახლოვდა, მუხლებზე თოჯინა დაუდო და თვალთმაქცურად გაუღიმა.

— მამიკო, შენ ხომ გიყვარს შენი შვილი, მეც მიყვარს ჩემი შვილიკო, ავად არის, უშველე რამე!

მამამ თავი ასწია, სათვალე მოიხსნა და ბავშვს ღიმილით უთხრა:

— ნია, გენაცვალე, ხომ ხედავ, ვმუშაობ! ახლა არ მკაღია.

ნია, ცოტა არ იყოს, ნაწყენი მოშორდა მამას და მეორე ოთახში შეირბინა.

აქ ნიას ძმა გაკვეთილებს ამზადებდა. ნიამ ახლა ძმას მიმართა. გაისმა ძმის უკმაყოფილო ხმა:

— რა არის, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ხელს ნუ მიშლი-მეთქი! დედა, უთხარი რამე ნიას!

— ნია! ნია! — გაისმა დედის ძახილი, — ხომ ხედავ, გოგია მუშაობს, ვაკვეთილებს სწავლობს, ხელს ნუ უშლი! მიდი შენს კუთხეში, სათამაშოებთან!

მაგრამ ნია სამზარეულოში გავიდა. იქ მისი გამდელი სარეცხს რეცხავდა.

— აქ რა გინდა, ნია? — აღერსიანად შეეკითხა გამდელი.

— დედოფალა ავად მყავს! აი, ხილაბანდი, თავი შეუხვიე. — და ნიამ მიაწოდა თეთრი ხილაბანდი.

— ნია, გენაცვალე, ხომ ხედავ, სველი ხელები მაქვს.



დედას საკერავი მანქანა გადმოეღო და ნიას კაბას უკერავდა. ბავშვი მივიდა და მანქანის ტრიალი მოინდომა. დედამ შეუტია:

— ნია, ხელი არ ჩაატანო, ნუ მიშლი. ნიას გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. ყველა ნიას შემოეხვია, ის კი ჩიოდა:

— ყველა მეუბნებით — ვმუშაობო, — მეც მინდა მუშაობა! მეც მინდა მუშაობა!

დედამ კალთაში ჩაისვა და აღერსიანად უთხრა:

— ჩემო ნია, ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და შენც იმუშავებ! — თან მისი თოჯინა ხელში აიყვანა და ხილაბანდით თავი შეუხვია.

ღრო გავიდა. ნია საბავშვო ბაღში შეიყვანეს. ერთხელ შინ დაბრუნდა გაბრწყინებული თვალეებით და ამაყად უთხრა თავისიანებს:

— მე უკვე გავიზარდე, დღემოდ ვმუშაობ ვიყავი და ვმუშაობდი!

5413





სანდრო მანიაშვილი

ნახატები ა. კანდელაკისა

ტყეში

(აზრი აღებულია)

ტყეში იდგა ერთი მუხა
ბებერი და კორძიანი;
ერთი ტოტი შერჩენოდა,
ფოთლიანი, ქოჩრიანი.
იქ მიფრინდა ხეკაკუნა —
კოდალას რომ უწოდებენ,
ქია-ღუსის მტრობასა და
მქრელ ნისკარტს რომ უწონებენ.
მან ნისკარტი მწვეტი, მქრელი
დაჰკრა მუხას ჩქარა-ჩქარა
და ფულურო გამოთხარა,
შიგ ზაფხული გაატარა;
მერე თაღი მიანება,
ასე იყო მისი ნება.
ზამთარმა რომ გაიარა,
კვლავ მობრძანდა გაზაფხული,
ია-ვარდით, ენძვლებით
მორთული და მოკაზმული.
ამ მუხაზე შემოფრინდა
შავი შაშვი მგალობელი,
შეამჩნია იქვე ხვრელი,
მისთვის ბინად სასურველი
და რა ნახა, დაიძახა:
— მანდ ვინ ცხოვრობს?
ვინ ბინადრობს? —
ხმა არ გასცეს.
შეიხედა, — ფულუროა ცარიელი;
მოიტანა ჩაღა-ბულა,
მოიტანა თივა ხმელი

და აქცია ბუდედ ხვრელი.
ერთხელ დილით აქ მოფრინდა
ბორბოტი და ანხლი ჭოტი;
მოეწონა მას ფულურო,
მოეწონა მუხის ტოტი.
დაიძახა:
— მანდ ვინ ცხოვრობს?
ვინ ბინადრობს? —
შაშვი შაშვი უპასუხა:
— აქ ცხოვრობდა,
ბინადრობდა
ხეკაკუნა გრძელნისკარტა
და შშრომელი;
დღეს მე ვცხოვრობ შავი შაშვი
მგალობელი.
ჭოტმა უთხრა:
— მე ჭოტი ვარ ბრაზიანი,
მაგრამ შენზე აზრიანი.
წადი მალე,
გამეცალე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
გაგკრავ ბრჭყალებს,
დაგთხრი თვალებს! —
გაქრა შაშვი სადღაც, ტყეში.
დაბინავდა ჭოტი ხვრელში;
დღისით-მზისით სულ ეძინა
ფულუროში,
ხოლო ღამით ის საზარლად



ვაპკიოდა,—
სხვა მეზობლებს აწუხებდა,
თავზარს სცემდა,
მაგრამ ამას არ ნაღვლობდა,
არ ჩიოდა.
ენახოთ, ერთხელ ამ მუხასთან
მოცქრიალდა ციყვი მარდი,
არა ჰქონდა გულში დარდი;
ხის ფულურო დინახა
და უმაღვე დაიძახა:
— მანდ ვინ ცხოვრობს?
ვინ ბინადრობს?
— აქ ცხოვრობდა,
ბინადრობდა
ხეკაკუნა გრძელნისკარტა
და მშრომელი,
იმის შემდეგ შავი შაშვი
მგალობელი,
ღღეს მე ვცხოვრობ, მე ვარ ქოტი!—
— გიცნობ, გიცნობ, ხარ ბოროტი!
ამას გარდა, დიდად ბრყვი,—
შენ უღროოდ ღამე ჰკივი.
მე ვარ ციყვი.
კბილები მაქვს ბასრი, მკრელი,
და კუდი კი რბილი, გრძელი.
წადი მალე,
გამეცალე!—
ქოტი დაფრთხა, გაქრა ტყეში,
დაბინავდა ციყვი ხერელში.
ენახოთ, ერთხელ, მზიან ღღეში
ხმაურია უღრან ტყეში:
ისმის ყველგან მხიარული
ქრიაშული.

გუგუნებენ... ირვეიან,
ზუზუნებენ... ვინ არიან?
მოსულიყო ფუტკრის ქოლი,
მშრომელი და თან მეზობლი;
ხერელთან ციყვი დინახეს,
რინიანად შეუძახეს:
— მანდ ვინ ცხოვრობს?
ვინ ბინადრობს?
— აქ ცხოვრობდა,
ბინადრობდა
ხეკაკუნა გრძელნისკარტა
და მშრომელი,
იმის შემდეგ— შავი შაშვი
მგალობელი,
შემდეგ— ქოტი,
ის ბოროტი...
თქვენ ვინა ხართ, რომ ზუზუნებთ,
აიკელით ეს ტყე ფრენით?
უპასუხეს:— ვართ ფუტკრები,
ერთმანეთის დამხმარენი.
ჩვენ გვკვირდება ეს მიღამო,
მოფენილი ყვავილებით;
გვიყვარს შრომა, დავზუზუნებთ
და შრომაში არ ვიღლებით.
გთხოვთ, სასწრაფოდ
ტყე დატოვოთ,
მალე უხდა დავაგროვოთ,
გემრიელი ტკბილი თაფლი;
იმდენი ვართ,
რომ ვერც დავავთვლი.
წადი მალე!
ჩვენ ვგ ბინა დავგიცალე,
თორემ ნესტრით გაგამწარებთ,
წადი ჩქარა!.. —





ციყვი ძლიერ შეაშინეს,—
 ისკუბა და გაიპარა!
 იქ ფუტკრები დაბინავდნენ,
 ყვავილებზე დაფრინავდნენ;
 საქებია მათი შრომა,
 შეაგროვეს თაფლი ბლომად.
 გაიარა დღემ სულ ათმა,
 შეამჩნია ხვრელი დათვმა
 და შესძახა:
 — მანდ ვინ ცხოვრობს?
 ვინ ბინადრობს?
 — აქ ცხოვრობდა,
 ბინადრობდა
 ხეკაკუნა ვრძელნისკარტა
 და მშრომელი,
 იმის შემდეგ შავი შაშვი
 მგალობელი,
 შემდეგ ქოტი, ის ბოროტი,
 შემდეგ ციყვი;
 დღეს კი ვცხოვრობთ აქ ფუტკრები,
 მგებრები, დები, ძმები.
 უნდა ეზიდოთ ტკბილი თაფლი!
 იმდენი ვართ,
 რომ ვერც დავგვთვლი!—
 ეს რომ უთხრეს, გაგულისდა
 ჩვენი დათვი:
 — მწერმა როგორ შემეშინოს,

ანუ რაა ძალა მათი?
 მე ვარ უფრო ღონიერი,
 და ათასჯერ გონიერი.
 სულ ჩემია შოგ რაც არის!
 მათ შავი ქვა და ნაცარი!—
 ჰა, აბობლდა ხევმ მალლა,
 ფულუროში ჩაყო თათი,
 და ფუტკრებმა დაიძახეს:
 — ბანჯგვლიანი მტერი მოდის,
 მოდის დათვი!
 გამოცვივდნენ,
 მიესივნენ,
 შეებრძოლნენ ყრიამულით;
 დათუნია იქნევს თათებს,
 აღარ არის მზიარული:
 ნესტარს სცემდნენ,
 ყურში ჰკებენდნენ,
 პირში, ცხვირში უძვებოდნენ,
 თვალის ჩინსაც უზნელებდნენ...
 დათუნია აღრიალდა,
 სიმწვავისგან დაიყვირა,
 და მუხიდან, — მალალ ხიდან—
 გადმოვარდა თავდაყირა!
 და იმ მუხას, — ფუტკრის ბინას
 თვალი ვეღარ გაუსწორა;
 ცხრა მთას იქით გადიქარვა
 ქურღბაცაცა, მუქთახორა!
 ვინც არ შრომობს, არ ირჯება, —
 ყველა ასე დისჯება!



ფლის შატკრობა გუთუნის აღ. ხანჩელაძეს

რედაქტორი იოსებ წინწმული სარედაქციო კოლეჯია: გრ. ახაშიძე, ევ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი,
 თ. თუმანიშვილი, მუყაღა მრეკლამეზო (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგანი, თ. სხარულაძე, ნ. ნაფციშვილი,
 შ. ცხაიძე.

Д И Л А — еженеделный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 7 года, 1902 г. Тбилиси, Ленинна 14.

საბლტკამი. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. მ ხართ. ტელ. 4-37-38

გაბომე. მკვე. № 257 ზღამის მკვე. № 702 ტბათი 18.000 უკ 02481

დაბეღლია დედა ზეკუას ზეამაში, ხარისხელის ქ. 26 1971 მკვე. № 307